

## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N4 - მუდმივი საგადახდო დავალება

1. მუდმივი საგადახდო დავალების მეშვეობით, კლიენტს უფლება აქვს მისცეს ბანკს დავალება, რომ ბანკმა აღნიშნული დავალების მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ანგარიშიდან ჩამოჭრას განაცხადით განსაზღვრული ოდენობის თანხა და გადარიცხოს ის განაცხადით განსაზღვრულ თარიღებში, მიმღების საბანკო ანგარიშზე.
2. მუდმივი საგადასახადო დავალებით სარგებლობა შესაძლებელია თუ კლიენტს გააჩნია ან უნივერსალური მიმდინარე ანგარიში ან სტანდარტული მიმდინარე ანგარიში.
3. მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში, გადარიცხვა განხორციელდება განაცხადით განსაზღვრულ თარიღში.
4. იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა ხორციელდება ანგარიშებს შორის ან მესამე პირის ბანკში არსებულ ანგარიშზე და განაცხადით განსაზღვრული თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, გადარიცხვა შესრულდება მიმდინარე არასაბანკო დღეს, მომდევნო საბანკო დღის თარიღით.
5. იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა ხორციელდება ბანკის გარეთ არსებულ ანგარიშებზე და განაცხადით განსაზღვრული თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, გადარიცხვა შესრულდება მომდევნო საბანკო დღეს.
6. მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში, ოპერაცია არ განხორციელდება, თუ შესაბამისი განაცხადით განსაზღვრულ ანგარიშზე, ოპერაციის შესრულების საოპერაციო დღის დასაწყისში არ არის საკმარისი თანხა. დავალების შესრულებისათვის აუცილებელი თანხა ანგარიშზე განთავსებული უნდა იყოს წინა საბანკო დღეს.
7. მუდმივი საგადასახადო დავალების შესასრულებლად შესაბამისი განაცხადით განსაზღვრულ ანგარიშზე საკმარისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში დავალება შესრულდება მომდევნო პერიოდის დადგომისას.
8. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურება, თუ:
  - 8.1. დაიხურა ანგარიშ(ებ)ი საიდანაც ხდებოდა მუდმივი საგადასახადო დავალებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა/მიღება ან;
  - 8.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურების საკომისიო.
9. მუდმივი საგადახდო დავალების ფარგლებში კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს შემდეგი ოპერაციების განხორციელება:
  - 9.1. თანხის გადარიცხვა ანგარიშებსა და ბანკის გარეთ არსებულ კლიენტის საბანკო ანგარიშებს შორის.
  - 9.2. კონვერტაცია ანგარიშებს შორის.
  - 9.3. ანაზრის შევსება.
10. განაცხადის პირობების ცვლილება განხორციელდება ახალი განაცხადის შევსების გზით, შესაბამისად ახალი განაცხადის ხელმოწერისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვლება ნებისმიერი სხვა განაცხადი რომელიც არეგულირებდა მუდმივი საგადახდო დავალების განაცხადით განსაზღვრულ ურთიერთობებს.